საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი კომუნისტი

სამშაბათი, 17 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 19 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 19

Томлинский филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

3004

## „უპასუხისმგებლო მაგინებელნი"

ამ დღეებში ქართველ მენშევიკების პარტიამ გაზ. „ერთობის" პირით მთელის მათი პასუხისმგებლობის ქვეშ დი გადაჭრით განაცხადა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია „ეყრდნობა უმთავრესად წვრილ რუს ჩინოვნიკობას და რუს-ოფიცრობას", რომლებიც რევოლიუციამ უადგილოთ დასტოვაო. ყველაფერს დავიჯერებდით, ხოლო „ერთობის" და მისი პარტიის პასუხისმგებლობას, რაიც პოლიტიკური პატიოსნების ანარეკლია, კი ვერა. მაგრამ ჩვენ მაინც მივეცით წინადადება გაზეთს პასუხისმგებლობის ნასახსაც მაინც არ გაქცეოდა და რითიმე დაემტკიცებია თავისი ნათქვამი. მივუთითეთ უბრალო, ხელმისაწვდომ საზომზედაც: 1) იმ 200 კომუნისტებში, რომლებიც დღეს მათ ციხეებში ყავთ გამაწრული რამდენია ყოფილი რუსი ბიუროკრატი და რუსი ოფიცერი; 2) კომუნისტური პარტიის წევრთა სარეგისტრაციო ბარათებში რომლებიც დაიტაცა ჩვენი ბიუროების დარბევის დროს მათმა ადმინისტრაციამ, არის თუ არა ნიშნები იმის, რომ ჩვენი პარტია „უმთავრესად ეყრდნობა" რუს ბიუროკრატებს და ოფიცრებს. ამაზე უფრო სწორი საზომი განა შესაძლებელია? მაგრამ „ერთობის" ჯენტლმენებმა ხელები ჯიბეში [illegible] არხეინად გვიპასუხეს: ეგ რა საჭიროა, „საკმარისია" თვალი გადაავლოთ კომუნისტურ პარტიის იმ „ლაშქარს", რომელიც ქუჩაზე გამოვიდა პირველ მაისს, ან იმას, რომელმაც მანიფესტაცია გაუმართა ბ. კიროვს, როდესაც იგი პირველად ჩამოვიდა"-ო. როგორც ხედავთ გაზეთის „მთელი ჩვენი პასუხისმგებლობა" ქარს წაუღია და მის ალაგას ჩამდგარა მებაყლეების იდეოლოგისათვის უფრო შესაფერისი კბილიკრეჭიაობა. მაგრამ პირველ მაისობის დღესაც ხომ მოხდა დაკავება—დაპატიმრება, ამხ. კიროვის ჩამოსვლის დღესაც ხომ მუშაობდა ადმინისტრაცია და ციხისკენ გაისტუმრა ზოგიერთები: და აი საინტერესოა—იყო თუ არა, და თუ იყო—რამდენი, ძველი ბიუროკრატი და ოფიცერი ამ დაკავებულთა შორის? ამცნეთ ქვეყანას ვაჟბატონებო! მაგრამ ამის იმედი არ უნდა გვქონდეს, ვინაიდან „მთელი პასუხისმგებელი" კბილიკრეჭია დარდიმანდები ქუჩის ბიჭივით ღობეზე შეხტება და იქიდან ენას გვიყოფს: „რაც შეეხება ციხეებში მჯდომებს, მართალია, ჩვენ არ მოგვიხსენებია კომუნისტურ პარტიის თანამგრძნობთა ერთი კატეგორია: ესენი გახლავთ ქურდ-ავაზაკები და საერთოდ სისხლის სამართლის წესით დასჯილები. მართალია, რომ ისინი შეიძლება ყველაზე დიდს კატეგორიას წარმოადგენენ ბალშევიკთა რიგებში. მათთან შედარებით ციხეში მჯდომი იდეური ბალშევიკების რიცხვი თითზე ჩამოსათვლელნი არიან". აი რა ენის მრუშობად იქცა ერთობელების გაბერილი სიტყვა პასუხისმგებლობის შესახებ! ასობით ციხეში გამომწყვდეულ კომუნისტების მოთხოვნაზე წაუყენონ რაიმე ბრალდება მენშევიკები უპასუხებენ: ჩვენი პოლიციური შეხედულებით თქვენ აჯანყების მომწყობი უნდა იყვეთო, მეტი საბუთი ჩვენ არ გვაქსო.

ჩვენს მოთხოვნაზე—რაიმე საბუთით მაინც გაამაგრონ თავისი ცილისწამება და აშკარა ჭორი, მენშევიკების „პუბლიცისტები" ტუტუცური ღრეჭით და ჯიბგირული უტიფრობით გვიპასუხებენ.

და ასეთი ხალხი კიდევ მოითხოვს სერიოზულად უყურონ მათ ქვეყნის მმართველ პარტიის როლში!

## რა შუმია საქართველოს დამოუკიდებლობა

ჩვენს [illegible] დავაყენეთ საკითხი: რისთვის [illegible] დევნიან. მის გასარკვევათ წავიმძღვ[illegible] კლასთა ბრძოლის თეორია, ამ თვალთსაზრისით ანალიზი გაუკეთეთ [illegible] კითხთან დაკავშირებულ მოვლენებს და მივიღეთ შემდეგი დასკვნა: „საქართველოს კლასობრივ საზოგადოებაში მარტო ჩვენი პარტიაა დევნილი. ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ ის გამოხატავს იმ საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული ნაწილის-პროლეტარიატის ინტერესებს. მენშევიკური პარტია არაპროლეტარული კლასების სამსახურს შეწირია".

თუ კლასთა ბრძოლის თეორიას რაიმე ღირებულება აქვს, ეს მხოლოდ იმ მოვლენათა ახსნაში, რომელთაც კლასობრივ საზოგადოებაში აქვს ადგილი. ჩვენს წინ უტყუარი ფაქტია, რომ საქართველო წარმოადგენს კლასობრივ საზოგადოებას, სადაც მაშასადამე ადგილი აქვს კლასთა ბრძოლას (ხან ჩუმს, ხან აშკარას), ადამიანისაგან ადამიანის გაყვლეფას, ჩაგვრას და დამონებას. სანამ პროლეტარიატი თანისი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს, ის გაყვლეფილი, დაჩაგრული და დამონებული კლასია. სანამ ბურჟუაზია არსებობს როგორც ბურჟუაზია, ის სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი, გამყვლეფელი, დამჩაგვრელი დამმონებელი კლასია. ხოლო როდესაც ასეთ საზოგადოებაში მარტო ერთი პარტიაა პოლიტიკურათ დაჩაგრული და დამონებული, ის, უეჭველია, გამოხატავს ეკონომიურათ ყველაზე დაჩაგრულ-დამონებული კლასის—პროლეტარიატის ინტერესებს, ვინაიდან ყოველ პოლიტიკურ მოვლენას თავისი ძირი ეკონომიკაში აქვს ჩამარხული. თუ ეს დებულება მართალია (და ჩვენ სიამოვნებით მოუსმენთ, ვინც მის დარღვევას შეეცდება), აშკარაა, რომ რაკი საქართველოს კლასობრივ საზოგადოებაში მარტო ჩვენი პარტიაა დევნილი, ის უეჭველათ გამოხატავს და არ შეუძლია არ გამოხატოს ამ საზოგადოებაში არსებულ ყველაზე დაჩაგრული კლასის—პროლეტარიატის ინტერესები.

ასეთი დასაბუთება არ მოსწონს „ერთობას" და იგი მას „ახირებულათ" მიაჩნია. ის სწერს:

„კომუნისტი" გვიკიჟინებს: „ბალშევიკების პარტია ერთათ ერთი პარტიაა, რომლის წინააღმდეგაც საქართველოში დევნაა აღმართული. ეს მტკნარი ტყუილია".

მაგრამ ამ „მტკნარ ტყუილს" ჩვენთან ერთად ადასტურებს ისეთი კომპეტენტური ორგანო, როგორიც არის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, რომელიც ჩვენ უკვე ვიმოწმეთ ჩვენს წერილში.

დავანებოთ ამას თავი და ვნახოთ, თვით „ერთობა" როგორ აბათილებს ჩვენს „მტკნარ ტყუილს". იგი განაგრძობს:

„ორი წლის განმავლობაში საქართველო არა ნაკლების გაფთრებით ებრძოდა დენიკინელებს; როდესაც საქართველოს სამხრეთიდან ემუქრებოდა სერვერბეგის შავი ლაშქარი, მთელი ჩვენი დემოკრატია, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და ბრწყინვალე პასუხი გასცა მტერს. როდესაც ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წინააღმდეგ იბრძოდა დაშნაკცუთიუნი", საქართველოს დემოკრატია ამ პარტიასაც არა ნაკლების გაფთრებით ებრძოდა, ვიდრე დღეს ებრძვის კომუნისტებს. ყველა ამ პარტიებმა იმდენათ დაიმსახურეს ჩვენი დემოკრატიის რისხვა, რამდენათაც ისინი ემუქრებოდენ საქართველოს დამოუკიდებლობას".

დენიკინელები, სერვერბეგი, დაშნაკცუთიუნი—აი, თვით „ერთობის" სიტყვით, ვის ებრძოდა საქართველოს მთავრობა გარდა კომუნისტური პარტიისა.

აქ დამახასიათებელია ის, რომ „ერთობამ" ვერ დაასახელა ვერც ერთი ქართული პარტია, ვერც ერთი ქართული ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც მიმართული ყოფილიყოს მთავრობის რეპრესიები. ყველა ამათთან „ერთობა" სიამტკბილობით ცხოვრობს. სწორეთ ამას ვამტკიცებთ ჩვენ და ეს იყო კიდეც სადავო საგანი. ამის შესახებ ჩვენ სრულიათ გარკვეულათ ვამბობდით:

„ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკით კმაყოფილი არიან ყველა გაბატონებული კლასები და მათ წინააღმდეგ მთავრობას არავითარი რეპრესიები არ სჭირდება. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა სრულიათ უზრუნველყოფილია მქონებელ, გაბატონებულ კლასების მხრიდან, აქედან მას არავითარი საშიშროება არ მოელის. მთელი მისი საომარი იერიში, როგორც ვთქვით, მიმართულია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, რადგან იგი მხოლოთ აქედან ელის საფრთხეს, აქ ხედავს თავის საშიშარ მეტოქეს".

სრულიათ მოსატანი არ არის აქ დენიკინელები, სერვერბეგი და დაშნაკცაკანები, რადგან მათთან ბრძოლა იყო არა კლასობრივი ბრძოლა, არამედ მხოლოთ ნაციონალური ბრძოლა. ნაციონალური ბრძოლა კი [illegible] სწარმოებდეს ერთგვარ კლასობრივ ძალთა შორის თვით კლასობრივი საფუძვლის ხელშეუხებლათ. ჩვენ, მაგალითათ, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავთ მენშევიკებსა და დაშნაკცაკანებს შორის მათი კლასობრივი ხასიათის მხრით. ყოველ შემთხვევაში, დაშნაკცუთიუნს ისეთივე გავლენა აქვს ერსა და მის მშრომელ ნაწილზე, როგორც მენშევიკებს. ამ ორ პარტიათა შორის კლასობრივი ბრძოლა სრულიათ გაუგებარია. ამავე დროს ადვილი გასაგებია ამ ორი პარტიის დატაკება ნაციონალურ ნიადაგზე. აქ სწარმოებს სამეტოქეო (და არა კლასობრივი) ბრძოლა ერთ და იმავე სოციალური პრინციპის მატარებელ ძალთა შორის. ერთის გამარჯვება არ ნიშნავს მოწინააღმდეგის პრინციპის დამარცხებას. პრინციპი აქ ერთი და იგივეა. მიუხედავათ ამისა, ეს ბრძოლა ხშირათ უკიდურესობამდე გამწვავებული ხდება, რის მაგალითია თანამედროვე იმპერიალისტური ომი.

დენიკინელებისა და ბეგების მიმართ რომ თვით მენშევიკებიც ვერ უარყოფენ, რომ მათთან ბრძოლა იყო არაკლასობრივი, არამედ ნაციონალური ბრძოლა.

ჩვენ კი კლასობრივ ნიადაგზე ვდგევართ, კლასობრივ ბრძოლას ვაწარმოებთ და ჩვენს ბედს, როგორც დევნილი პარტიისას, არ იზიარებს არცერთი პარტია საქართველოში.

თუ მუშათა მთავრობა ხართ, მუშების მტრებს—ბურჟუაზიას უნდა სდევნიდეთ. ხოლო რაკი ჩვენ გვდევნით, ის მაინც დაამტკიცეთ, რომ ჩვენ ბურჟუაზიის ინტერესებს ვიცავთ,—ვეუბნებით ჩვენ მენშევიკებს და აი რა გვესმის პასუხათ:

„ჩვენ თანახმა ვართ იმისი, რომ კომუნისტების პარტია არ არის ბურჟუაზიის კლასიური ინტერესების გარკვეული (!) დამცველი პარტია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მას ვთვლით გარკვეულათ რეაქციის მატარებელ პარტიათ".

უკანასკნელი სამი სიტყვა ისე მოსწონებია „ერთობას", რომ ხაზ-გასმით აღუნიშნავს. „რეაქციის მატარებელი პარტია". რეაქცია ხომ ციდან მოფრენილი ფერია არ არის, რომ ადგილობრივ ცოდვილ ცხოვრებას ვერ ვკავშირდებოდეს. რომელი კლასის ინტერესებს გამოხატავს ეს რეაქცია? ან იქნებ, რაკი „გარკვეულად" არა ვართ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი, გაურკვევლათ მაინც ვიყოთ ასეთი?!

უფრო გასაგებათ ჩვენი დევნის მიზეზი შემდეგ სიტყვებშია გამოთქმული:

„საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობა ჩვენს თვალში უდრის დემოკრატიზმის და სოციალიზმის გზის დახშობას. ამიტომ ყოველი პარტია, რომელიც სბრძვის ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ჩვენს თვალში არის რეაქციის მატარებელი, რევოლიუციის მტერი და ეს გვაიძულებს ჩვენ ამ ნაირ პარტიას ვებრძოლოთ ყოველის საშუალებით".

ყოველი საშუალებით! ჩვენ მხოლოთ ლოღიკური საშუალებით შევებრძოლებით ჩვენი დევნის მიზეზის გაყალბებას და დავამტკცებთ, რომ თვით ეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი შორეულ საბაბსაც არ აძლევს მთავრობას ჩვენი ასეთი დევნისას.

(დასასრული ხვალ)

## უცხოეთის პრესა

### მუშათა საკითხი იაპონიაში.

„როგორც ყველა მრეწველობა განვითარებულ ქვეყნებში, იაპონიაც განიცდის დღეს დიდ სიძნელეს მუშათა საკითხის გამო. ეს სიძნელე არ წარმოსდგება მხოლოთ მუშების მიერ ხელფასის მომატების მოთხოვნისაგან, რასა[illegible] ისინი [illegible] სამუშაო [illegible] ქირის გადიდებას, რასაც ხდის საჭიროთ სიძვირის შეუჩერებელი ზრდა. მარა მათ აქვთ კიდევ სხვა საზრუნავიც. ისინი ცდილობენ შრომის პირობების საერთო გაუმჯობესებას, მუშების სოციალურათ წარმატებას, და მათ ჩარევასაც კი მათი დამქირავებელი წარმოების საადმინისტრაციო კანტროლში. თუ ამის შესახებ ამდენ ხანს შეიძლებოდა კიდევ რაიმე ეჭვი, საკმაო იქნება გავიხსენოთ მიზეზები იმ არეულებების, რომლების გამო შეჩერდა შიბორის ქარხნებში მუშაობა, რომ დავრწმუნდეთ წინააღმდეგში

იაპონიის ბურჟუაზია ფიქრობს, რომ მუშათა საკითხი შეიძლება ადვილათ გადიჭრას რამოდენიმე კაცთ-მოყვარული გრძნობით ნაკარნახევი დათმობით. ეს ღრმა შეცდომაა. იაპონიის მუშა უკვე აღარ კმაყოფილდება მოწყალებით. ის აღარ ეძებს, რომ შეიცოდონ ის და დახმარება აღმოუჩინონ მას. მისი სურვილია, რომ მას მოექცნენ ისე როგორც სწორი ექცევა სწორს და მიიღოს ის, რაც მას ეკუთვნის"... გაზ. „ტან".

## „სულმაღალ კომუნისტებს!"

### ანრი ბარბიუსის წერილი ჟურნალ „ლა რევიუ კომუნისტ"-ს რედაქტორისადმი.

(„კომუნისტ. ინტერნაციონალი" № 12).

9 მაისს, 1920 წ.

ძვირფასო ამხანაგო!

თქვენი წერილი მე მივიღე დღეს, ჟენევიდან დაბრუნებისას, სადაც მონაწილეობა მივიღე ყოფილ ჯარის კაცთა საერთაშორისო კონგრესზე რომელზედაც წარმოდგენილი იყო დაახლოვებით ერთი მილიონი სახლში გაშვებული ჯარისკაცები ყველა ქვეყნებიდან: ფრანგები, ნემცები, ინგლისელები, ავსტრიელები, ელზას-ლოტარინგელები, იტალიელები, და რომელმაც დაადგინა ძმური სალამის მიძღვნა მესამე ინტერნაციონალისადმი.

ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ როგორია ჩემი ურთიერთობა თქვენდამი, ვიტყვი მხოლოდ, რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვიღებ თქვენს წინადადებას. როგორც კი მე შევიძლებ ფიზიკურად, ვეცდები გამოგიგზავნოთ სტატია თქვენი ჟურნალისათვის; თქვენ სავსებით მართალი ხართ, როცა ამბობთ, რომ ჩემს სულში ტრიალებს რაღაც, რაც, მე ვალდებული ვარ, უნდა გავუზიარო თქვენს მკითხველებს.

მეგობრულათ გართმევთ ხელს [illegible] თქვენ და თქვენს ამხანაგებს ანრი ბარბიუსი.

[illegible] შო[illegible] რიგი სიყალბეები მესამე ინტერნაციო[illegible] სამუშაო[illegible].

ამხანად გიგზავნი ნაწყვეტს ჩემი სიტყვისას, რაც 30 აპრ. წარმოვსთქვი ჟენევის კონგრესის გახსნაზე:

„ჩვენ დავანახვებთ, რომ ის რაც რუსეთში ხდება—დასაწყისია ახალი ხანის, კაცობრიობის აღორძინების, ახალი კაცობრიობის მომავლისა. რუსეთმა უკვე ფეხი შედგა ბრძოლაში წინააღმდეგ მთელი დანარჩენ თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ ევროპისა, ბრძოლაში, რომელიც გადამწყვეტია, გრანდიოზულია და იმავე დროს უბრალო, ვით ბრძოლა დღის სინათლისა ღამის წყვდიადთან; ჩვენ ბოლოს მოუღებთ სასაცილო და ულამაზო დავას წვრილმანებზე და ერთსულოვანად გამოვსთქვამთ ჩვენს მიწონებას მოსკოველ ამხანაგების წინაშე, რომლებიც ქმნიან დიად საქმეს განხორციელებისას" (воплощенiя).

ა. ბ.

## ინტერნაციონალის გარშემო.

### კომუნისტურ ინტერნაციონალის ძალების აღნუსხვა.

(გაგრძელება *)

(იხ. „ახ. კომუნისტი" № 14).

### ინგლისი.

ბრიტანიის სოციალისტური პარტია ემხრობა კომუნისტურ ინტერნაციონალს. ბრიტანიის მუშათა პარტიის შიგნით კომუნისტები (მაკლინის ჯგუფი) იბრძვიან შემთანხმებელ გენდერსონის, გომასის და კლეინომის წინააღმდეგ. ამ პარტიის უკანასკნელ კონფერენციაზე საკითხი მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ უარყოფითად გადაწყდა, მაგრამ კენჭის ყრის შედეგი არაფერს არ ამბობს. თითქმის ყველა ტრედუნიონები შედიან მუშათა პარტიაში, მაგრამ ტრედ-უნიონების წევრები ცალ-ცალკე კი არ შედიან პარტიაში, არამედ მთელი კომპაქტურ მასსებით. კავშირი აგზავნის კონფერენციაზე რამდენიმე დელეგატს, რომლებიც ხმას აძლევენ ყველას მაგიერ. დათვლის დროს ითვლება დელეგატების ხმა კი არა, არამედ მათ მიერ წარმოდგენილ მასსების ერთი კავშირის დელეგატები წინასწარ თანხმდებიან და კავშირი ერთიანათ ხმას აძლევს ამა თუ იმ წინადადებას. ამრიგათ არა თუ იკარგება აუარებელი ხმა, არამედ მოწინააღმდეგეც აზრის სასარგებლოთ ითვლება. ასე უკანასკნელ კონფერენციაზე, მაგალითად, ერთი ბორისის ხმამ გადასწყვიტა კავშირის 250.000 წევრის ხმის მოცემის ბედი.

აი თუ რატომ იყო გაქარწყლებული კონფერენციაზე პარტიის საგრძნობი კომუნისტური უმცირესობა.

### ამერიკა.

1919 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში ქ. ჩიკაგოში დაარსდა ამერიკის კომუნისტური პარტია. მის დამფუძნებელ ყრილობაზე იყო 125 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდენ 50,000 მეტ შეკავშირებულ მუშას. მუშაობის საფუძვლად მიღებულ იქმნა მესამე ინტერნაციონალის პრინციპები. კომუნისტური პარტია დაარსდა ამერიკის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრთისაგან. მან უკვე მოასწრო დაეკავებია მნიშვნელოვანი ადგილი ქვეყნის რევოლიუციო-

ნურ მოძრაობაში. 7 ნოემბერს 1919 წ- ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე. მან მოაწყო მთელ ქვეყანაში 100 მიტინგზე მეტი შემდეგი ლოზუნგით: „შორს საბჭოთა რუსეთისგან, ძირს ბლოკადა!“ მიტინგებმა დიდი ნაყოფიერი შედეგები მოიტანა. ამის საპასუხოთ პარტია გამოცხადებულ იქმნა კანონს გარეშე, მაგრამ მან მაშინათვე აამუშავა წინდაწინვე დამზადებულ არალეგალური აპარატი. მუშაობის მთელი სიმძიმე გადატანილ იქმნა ქარხნებში, ფაბრიკებში და მაღაროებში. ყოველგან, სადაც კი არიან პარტიის წევრები, მოწყობილია მუშათა კომიტეტები, რომლებიც აერთიანებენ მუშებს, როგორც წარმოების ისე ტერიტორიის მიხედვით. ამრიგად დაარსებულია აგრეთვე საბჭოებიც. ენერგიული ბრძოლა სწარმოებს რეაქციონურ ტრედ-უნიონიზმის წინაამდეგ. ამაში კომუნისტურ პარტიას ეხმარება „მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშების“ (სინდიკალისტების) ის ნაწილიც, რომელიც მიისწრაფვის პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. მაგრამ კომუნისტური პარტია, მათგან განსხვავებით ცდილობს მისცეს მუშა ეკონომიურ მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი. პარლამენტარულ ბრძოლას კომუნისტური პარტია აღიარებს მხოლოდ, როგორც სააგიტაციო საშუალებას. სხვათა შორის ამ საშუალებას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კომუნისტური პარტია არალეგალურ მდგომარეობაშია.

**ი ს პ ა ნ ი ა.**

ისპანიში განსკუთრებული გავლენით მასებზე სარგებლობენ ანარქისტები, რომლებიც ემხრობიან მესამე ინტერნაციონალს. აქ ძალიან გახშირებულია აჯანყებები, გაფიცვები, დემონსტრაციები და სისხლის შეტაკებები მუშებსა ჯარებთან და ჟანდარმერიასთან.

მთავრობა ამ მოძრაობას ბალშევიკურ მოძრაობით თვლის და გასცა განკარგულება დაუზოგველათ დახვრიტონ წესრიგის დამრღვევნი. მიუხედავათ ამისა უკმაყოფილების მიზეზები კი არ ისპობა, არამედ აზრდება.

კატალონიის ... აზრდობის კავშირმა გადასწყვიტა შევიდეს მესამე ინტერნაციონალში.

**მ ე ქ ს ი კ ა.**

მექსიკის კომუნისტური პარტიის დელეგატი უკვე მოსკოვშია. პარტია შევიდა კომუნისტურ ინტერნაციონალში.

**რ უ ს ე თ ი.**

მესამე ინტერნაცირნალის მხარეზეა პირველი საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც უკავია მთელი დედა-მიწის თითქმის $1/_5$ ნაწილი 600.000 კომუნისტურ პარტიის წევრი სამხედრო დისციპლინით, ოთხ მილიონიანი პროფესიონალური კავშირები, ორ მილიონიანი უძლეველა წითელი არმია, კომუნისტურ აღმშენებლობის სამი წლის პრაქტიკა.

**ადერბეიჯანი.**

საბჭოთა სახელმწიფოა. ძალა-უფლების სათავეში დგას ადერბეიჯანის კომუნისტური პარტია. მუშათა კავშირები კომუნისტურ პარტიის ხელშია. არის ასკერთა წითელი არმია.

**კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი აღმასკომი.**

**მოსკოვი,** 12 აგვისტო. 7 აგვისტოს შესდგა მე-2 კონგრესის მიერ არჩეული კომუნისტური ინტნრნაციონალის ახალი აღმასკომის პირველი სხდომა. ახალ აღმასკომის შემადგენლობაში შევიდენ გერმანიიდან—ამხ. ლევინი, საფრანგეთიდან—ამხ. როსმერი, ინგლისიდან—ამხ. კველჩი, ამერიკიდან—ამხ. დჟონ რიდი, იტალიიდან—ამხ. სერატი, ავსტრიიდან—ამხ. შტენგარდტი, ბულგარეთიდან—ამხ. შაბლინი, სამხრეთ-სლავიიდან—ამხ. მილკიჩი, ჰუნგრეთიდან—ამხ. რუდნიანსკი, ახლო აღმოსავლეთიდან—ამხ. სულტან-ზადე, შორეულ აღმოსალეთიდან—ამხ. პაკი, ფინლიანდიიდან—ამხ. მანერი, ჰოლანდიიდან—ამხ. ვაინკოპი, კროაციიდან—ამხ. იანსონი, რუსეთის კომუნისტუ პარტიიდან ზინოვიევი, ბუხარინი, რადეკი ტომსკი. ახალი აღმასკომის თავმჯდომარეთ სულ ახლა არჩეულ იქნა ამხ. ზინოვიევი.

**სპარსეთი.**

სპარსეთის კომუნისტურმა პარტიამ ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს ერთ ნაწილში ძალა-უფლება. მჭიდრო კავშირშია, საბჭოთა ადერბეიჯანთან, რუსეთთან და თურქესტანთან. ყავს წითელი არმია, რომელიც ჯერჯერობით ინგლისელების წინააღმდეგ ომობს, და სულ უფრო და უფრო იზრდება კომუნისტური მოძ... ... ლაბმულია განუყრელად ნაციონალურ ბრძოლასთან ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

(დასასრული იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

## საბჭოთა რუსეთში.

**საზღვარგარეთის საქონელი.**

**პეტროგრადი,** 5 აგვ. იამბურგიდან მოსკოვში მოიტანეს 24 ვაგონი ქაღალდი. გამოგზავნილია პეტროგრადიდან მოსკოვში 8 ვაგონი სამეურნეო იარაღები.

**ზავი ლატვიასთან.**

**მოსკოვი,** 13 აგვ. საბჭოთა მთავრობამ ზავის პირობები დასდო ლატვიასთან

**იარაღი ვრანგელისათვის.**

**ნიკოლაევსკ,** 6 აგვ. ადესაში მოვიდა 11 გემი საზღვარგარეთიდან გერმანიაში და საფრანგეთში მყოფ რუსეთის სამხედრო ტყვეებით. ადესაში საზღვარგარეთელმა „კომანდამ“ გემებზე ჩაიგდო ძალა-უფლება ხელთ და გემები გადმოგვცა ჩვენ. გემებზე იყო სამხედრო იარაღი, რომელიც ვითომ და ეგზავნებოდა საფრანგეთის ჯარს კონსტანტინეპოლში—მაგრამ იქ არ გადატვირთეს, რადგან მთელი იარაღი ეგზავნებოდა ბარონ ვრანგელს.

**გერმანიის წარმომადგენელი მოსკოვში.**

**ლიონი,** 14 აგვ. გაზ. „ფიგარო“ იტყობინება მოსკოვში გერმანიის წარმომადგენლის მოსვლას, რომელიც დიდი უფლებებით არის აღჭურვილი. მისი მოსვლის მიზანია დაამყაროს ურთი-ერთ კავშირი რუსეთსა და გერმანიას შორის.

## საზღვარ-გარედ

**აღმოსავლეთ პრუსიაში.**

**ნაუენი,** აგვისტო. სარწმუნო წყაროების ცნობით, პოლონელებს განზრახვა აქვთ საპლების ციტო ოლქები გამოიყენონ ანტანტის სამხედრო სამოქმედო ბაზათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. წითელი ჯარები არსად არ მიახლოვებიან გერმანიის საზღვრებს. ანტანტის ჯარები თავს იყრიან ალენშტეინის ახლო... როგორც ეტყობა მათ (ანტანტის ჯარებს) არ სურთ შეხვდენ ბალშევიკების ჯარებს.

**დემონსტრაცია**

**რომი,** 5 აგვისტო. მედენში მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. შემდეგ დემონსტრანტები შეიკრიბნენ ქუჩაში. კრებას სრულიათ მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი ქონდა. დემონსტრანტებს სროლა აუტეხა პოლიციამ. მოკლეს 7 კაცი და დასჭრეს 32. კრებას დაესწრო მრავალი რკინის გზელი.

**გერმანიის ნეიტრალიტეტისთვის.**

**ქრისტიანია,** 8 აგვისტო. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის რკინისგზელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც აკავშირებს ნახევარმილიონ რკინისგზელ მუშებს, გადუწყვეტია დაიცვას გერმანიის ნეიტრალიტეტი რუსეთ-პოლონეთის ომში. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ რკინისგზელები არ გადიტანენ სამხედრო მასალას რომელიმე მეომარ მხარისათვის. ეს ცნობა საინტერესოა მით უმეტეს, რომ ისეთ წრეებიდან არის გამოსული, რომლებიც ენერგიულათ უარყოფდენ ამ მხრივ რაიმე გაბედულ ნაბიჯების გადადგმაჩ.

**ირანის წითელი ჯარები იმარჯვებენ.**

**რეშთი,** 10 აგვ. ირანის წითელმა არმიამ სპარსეთში დაიკავა ქ. მეჯილი და წინ მიიწევს. ინგლისის და სპარსეთის ნაწილები ყაზვინისაკენ იხევენ. შახის მთავრობა ძლიერ შეწუხებულია ამ ამბებით, რის გამო მან გამოიწვია ჯარები ზენჯანიდან. ზენჯანის დასაცავათ დატოვებულია 200 ინდუსი.

**აჯანყება ბაღდადში.**

**ლონდონი,** 5 აგვ. ბაღდადში აჯანყებულნი არაბები მოითხოვენ პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებას. არაბები თავს დაესხენ სახელმწიფო სახლებს და სროლა აუტეხეს.

**ინდოეთში.**

**მოსკოვი,** 10 აგვ. ინდუსების რევოლიუციონერებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რითაც მოუწოდებენ ინგლისის მუშებს ბოლო მოუღონ ინგლისის ჯარის კაცების მხეცობას. და ინდოეთის ფაბრიკანების თავგასულობას.

მანიფესტი ნათელი საღებავებით ასურათებს ინდოეთის მშრომელი მასების მდგომარეობას.

**ინგლისელ ამხანაგების მოწოდება.**

**ლონდონი,** 8 აგვ. 7 აგვისტოს ინგლისში მოხდა მიტინგები, სადაც ერთხმათ გამოქონდათ რეზოლიუციები, რომლითაც მოუწოდებდენ მუშებს საერთი გაფიცვისაგან რუსეთთან ომის საწინააღმდეგოთ.

**პროლეტარიატის დიქტატურისათვის.**

**რეველი,** 12 აგვ. ინგლისის კომუნისტების კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „საბჭოთა სისტემა ერთად ერთი საშუალებაა პროლეტარიატის მიერ ძალა უფლების ხელში ჩაიგდებათ. პროლეტარიატის დიქტატურა-აუცილებელი საშუალებაა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ—კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ხანაში. მიღებულია აგრეთვე რეზოლიუცია მესამე ინტერნაციონალთან შეერთებაზე.

**იტალია წინაღმდეგია.**

**რომი,** 11 აგვ. იტალიის მთავრობამ შეატყობინა მოკავშირეებს, რომ ის საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისის გამო ვერ მისცემს ჯარს პოლონეთს. იტალიის ჯარებმა დასტოვეს აღმოსავლეთ პრუსია, რაც არის იმის მაჩვენებელი, რომ იტალიის ხალხს არა სურს დაეხმაროს პოლონეთს არც ჯარით და არც იარაღით.

**დემონსტრაცია პარიჟში.**

**ლიონი,** 13 აგვ. ჟან ჟორესის სიკვდილის (6) წლის თავის გამო პარიჟში მოხდა დემონსტრაცია, რომელშიც ასი ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. დემონსტრაციის ლოზუნგები იყო: საერთო ზავი, საერთო განიარაღება, საერთო ამნისტია, 8 საათის სამუშავო დღე და კავშირის თავისუფლებაო.

**პოლონეთის დელეგატები**

**ლიონი,** 14 აგვ. გაზ. „ტანი“ იტყობინება, რომ პოლონეთის დელეგაცია: საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლიტიკური კანცელარიის დირექტორი და

## რედაქციისაგან:

ჩვენი გაზეთის, როგორც პოლიტიკური ორგანოს პირდაპირ დანიშნულებას არ შეადგენს მიაწოდოს მკითხველებს ხელოვნურ-ლიტერატურული დარგიდან ნაწარმოები, მაგრამ, რადგან ამ მიზნისთვის პარტიას სხვა შესაფერი ორგანო არა აქვს დღეს-დღეობით, რაც მეტათ მნიშვნელოვან ნაკლებობას შეადგენს, ამიტომ მიზნათ ვისახავთ, დრო-გამოშვებით ჩვენს მკითხველებს პროლეტარული კულტურის ხელოვნური ნიმუშებიც გავაცნოთ. ერთი ასეთი ნიმუშთაგანი არის ჩვენი გაზეთის კვირის 18 №-ში მოთავსებული ლექსი, სომხის ცნობილი მგოსან-კომუნისტის, აკოპ აკოპიანის, ხოლო დღეს ვათავსებთ ანტონ ამნუელის „მარატს“.

—

**ანტონ ამნუელი.**

# მ ა რ ა ტ ი

(ისტორიულ-დრამატიული პიესა).

**მომქმედნი პირნი:**

ჟ ა ნ პ ო ლ მ ა რ ა ტ ი.
მ ა რ ტ ა ს ო რ ი ე ლ ი—ასოთ-ამწყობის ქვრივი.
ტ ი უ ვ ა შ—ბოსტნის მუშა.
პ ი ე რ ი გ რ ა ნ ჟ ე რ ი—ასოთ-ამწყობი.
გ რ ა ფ ი ვ ი კ ტ ო რ ა ნ ა ტ ო ლ
კ უ რ ტ ე ნ ე დ ე-გ ო რ ე ჟ ე ვ ე ლ ი—ნაციონალურ გვარდიის აფიცერი.

ნაციონალური გვარდიის ჯარის-კაცები. მოქმედება არის პარიზში 1790 წ. ზაფხულს იმ დროს, 26 ივლისის მეორე დღიდან, როცა მარატი დევნილი იყო მისი მოსისხლე მტრის ლაფაიეტის მიერ, (რომელიც იყო ლიბერალი და პარიზის ბურჟუაზიის სალოცავ, და მასთან ნაციონალური გვარდიის უფროსიც).

იმ დროს მარატი, თავისი გაზეთის „ხალხის მეგობარის“ გამოცემით გართული, იმალებოდა, სადაც შეეძლო, უფრო ხშირად პარიზის განაპირა უბნებში, სანფრანციოს მონასტრის ნახევრად დანგრეულ სარდაფში.

დილაა. სარდაფი, სადაც მარტა სორიელთან დროებით ცხოვრობს მარატი, დაბალი, ნახევრად ბნელი და ნესტიანია. ზევიდან სარდაფში ჩამოდის ქვის კიბე, დასვრილი საფეხურებით. სარდაფის ფანჯრები ძალიან პატარებია და მასთან ისე მაღლაა გაკეთებული, რომ კაცი ძლივს-ღა უწვდება. სარდაფიდან კარი გადისმეორე განყოფილებაში. როცა კარი გაღებულია, იმას იქით ისე ბნელა, რომ არაფრის დანახვა არ შეიძლება. ის ძნელათ დასანახავი და მასთან დაკეტილია.

სარდაფის კუთხეში გაკეთებულია საწოლი მამიდა სორიელისა, რომელზედაც ყრია ძონძები. იქვე დგას მაგიდა უშნოთ გაკეთებული მსხვილ ფეხებზე. რამდენიმე ძველი სკამი და ტაბურეტკი. კუთხეში გაკეთებულია ერთგვარი ბუხარი, რომელშიაც ანთია ცეცხლი, რომლის კვამლი გადის ცეცხლზე ჩამოკიდული საკვამლეში.

მარტა სორიელი რაღაცას ხარშავს გაკვამლულ ქვაბში, თან კოვზით ურევს, გემოს სინჯავს და თავს აქნევს. ის ხნიერი, მაგრამ ჯანსაღი დედაკაცია; ნახევრად გაჭაღარებული თმით, რომელიც მოსჩანს თავსაფრიდან. ის ჩქარი მოძრაობისაა და ენერგიული გამომეტყველებით. საქმეში გართული, ის ვერ ამჩნევს მოქალაქე ტიუვაშის შემოსვლას, ტიუვაში დაახლოებით მარტას წლოვანებისა იქნება მაგრამ შეხედულებით გეგონებათ უფრო ხნიერი. მისი ნაოჭიანი სახე წვერ-ულვაშით არის შემოსილი. თმა გრძელი და გაჭაღარებული აქვს. ის შემოდის ყავარჯენით და გაჭირვებით იხრება ერთი კედრით. ჩაცმულია ღარიბულათ.

ტიუვაშ—დილა მშვიდობისა, მოქალაქე სორიელ!

მარტა—ააა, ბიძია ტიუვაშ, მოქალაქე ტიუვაშ... დილა მშვიდობისა...

ტიუვაშ—სახლშია მოქალაქე მარატი?

მარტა—მარატი.. აქ არავინ მარატი არ არის.

ტიუვაშ—ეხ, მამიდა მარტა, მთელი კვირაა, რაც მას დავეძებ უფრო ბეჯითათ, ვინემ ყველა ნაციონალური გვარდიელები. ნუ მიმალავთ. მოქალაქე მარატი ჩემი უკანასკნელი იმედია.

მ ა რ ტ ა—რაშია საქმე?

ტ ი უ ვ ა შ—ნება მომეცით დავჯდე!

მ ა რ ტ ა—ოხ, უკაცრავათ, დაბრძანდით მოქალაქე ტიუვაშ, დაბრძანდით, აი აქ (თავის ფეშტამლით მოსწმენდს გამტვერიანებულ სკამს და დაუდგამს ტიუვაშს, რომელიც ნელი ამოოხრით ტკივილის გამო დაჯდება და წინ გამოაშვერს კოჭლ ფეხს).

ტ ი უ ვ ა შ—სწორეთ მაგაშია საქმე. თქვენ იცით, რომ მე ვმუშაობდი დიდ ბოსტნებში მოქალაქე გიუი ლუაზიესთან ქალაქის გარე უბანში ერთი თვის წინეთ ფეხებზე გადამიარა წყლის საზიდავმა ურემმა.

მ ა რ ტ ა—ოჰ!

ტ ი უ ვ ა შ—როგორც იყო ცოტა მოვიკეთე, მაგრამ... მუშაობა კი აღარ შემიძლია და, შეიძლება დიდხანსაც ვეღარ შევიძლო... მოქალაქე ლუაზიემ კი გააგდო მოქალაქე ტიუვაში, სამუშაოდან დაითხოვა.

მ ა რ ტ ა—აი ის არ დასარჩენი!

ტ ი უ ვ ა შ—ეხ, მამიდა მარტა, აქალბათ ბოროტი დაცინვაა. რევოლიუციამდის მე ღარიბი ვიყავი, როგორც ეკლესიის თაგვი, ლუაზიესგან დამოკიდებული და ბიძია ტიუვაშს მეძახდენ. გიუ ლიუზიე კი მანამდე მდიდარი იყო, დამოუკიდებელი და ბატონ ლუაზიეთ იწოდებოდა. რევოლიუციის შემდეგ ჩვენ ორთავე ვიწოდებოდით მოქალაქეებათ და თითქოს გავთანასწორდით, მაგრამ... მამიდა მარტა, აი გავიფუჭე სამუშაოზე ფეხი და იმანაც დამითხოვა.. სასამართლოც მეუბნება, რომ ის მართალია, იმიტომ რომ მოტეხილი ფეხი—ჩემი დანაშაულობაა. ეხლა კი მე შიმშილით უნდა ამომხდეს სული ქუჩაში' ამას ხომ რევოლიუციამდისაც ასე მოველოდით.

მ ა რ ტ ა—(ჩაფიქრებული) დიახ, დიახ, დიახ.

ტ ი უ ვ ა შ—ეს რევოლიუცია, რომელიც ჩვენ შევქმენით, სასარგებლო დარჩა მათთვის, მდიდრებისათვის. ეს ესმის მხოლოთ ერთ მოქალაქეს, მარატს.

მ ა რ ტ ა—ო, მარატი!

ტ ი უ ვ ა შ—მხოლოთ ის, მხოლოთ ის არის ერთი და ნამდვილი მეგობარი ხალხის, მეგობარი ღარიბთა... და ვის უნდა მივმართო მე ეხლა თუ არა მას?!

მ ა რ ტ ა—დიახ, დიახ, ეს ასეა. ის დაგეხმარება, ის უსათუოდ დაგეხმარება. თქვენ იჯექით! მარატი ჩქარა მოვა. ის წავიდა სტამბაში და ჩქარა უნდა ოვიდეს.

ტ ი უ ვ ა შ—მე მოვიცდი.

(მარტა კვლავ მიდის ბუხართან).

ტ ი უ ვ ა შ—მე მესმის, რომ მოქალაქე მარატი იძულებულია დღეს იმალოს, მართლაც რომ ლაფაიეტის მხარეზე—ძალაა. თუნდაც იგივე ნაციონალური გვარდიელები... ისინიც ხომ ჩვენი ძმები, შვილები არიან, მამიდა სორიელ, მხოლოთ შეუგნებლები დ გასულელებულნი! ეხ, კიდევ დიდხანს არის საჭირო გაბედული ბრძოლა, რომ ღარიბმა კაცმა თავის უფლებისთვის თავისუფლათ ამოისუნთქოს.

(შემოდის პიერ გრანჟერი, ასოთ ამწყობი, ახალგაზდა კაცი, სახე მას შესვრილი აქვს ასოების საღებავით. ხელში ქაღალდები აქვს).

პ ი ე რ—გამარჯობა, მოქალაქენო!

მ ა რ ტ ა—დღემშვიდობისა, მოქალაქე გრანჟერი! თქვენ მოქალაქე მარ...

პ ი ე რ—(უჩვენებს ტიუვაშზე) ტს...ს..ს

მ ა რ ტ ა—არაფერია, ნუ გეშინიათ... ისიც მარატს უცდის.

პ ი ე რ—მაშ, ის არ არის?

მ ა რ ტ ა—არა.

პ ი ე რ—ოხ, სამწუხაროა. მე სტამბიდან მოვირბინე აი ამისთვის (უჩვენებს ქაღალდებს) და ძლიერ მივჩქარი. როდის შემეძლება ვნახო მოქალაქე მარატი?

მ ა რ ტ ა—მას უნდოდა ჩქარა მოსულიყო, მაგრამ რა ვიცი რა მოუვიდა. თქვენ ხომ იცით, როგორ იძულებულია ის იცხოვროს. ეს, მოქალაქე გრანჟერი, რევოლიუციას და ჩვენ, ღარიბებს „წმინდანები“ გვწამდეს, რევოლიუციის პირველ „წმინდანათ“ მარატი უნდა გვეცნო. ის ნამდვილი და თავდადებული მებრძოლია ჩვენი საქმისთვის.

ტ ი უ ვ ა შ—თქვენ მართალს ლაპარაკობთ მამიდა სორიელ.

მ ა რ ტ ა—სამი ღამეა მას აქ, ამ თავლაში ძინავს. (უკან კარზე უჩვენებს) თუ შეიძლება, რომ კაცს აქ დაეძინოს. ორი ან სამი საათით ის ჩაეგდება ლოგინში და შემდეგ კვლავ მუშაობს ან მიდის ქალაქში. და ამბობს, რომ აქ მისთვის უფრო კარგია, ვიდრე ფრანცისკანელების მონასტრის ცივს და ნესტიან სარდაფში, სადაც ის ამასწინათ იმალებოდა.

პ ი ე რ—მე ვიყავი მასთან იქ... და შემეძლო მხოლოთ მოწიწებით განცვიფრებულვიყავი.

მ ა რ ტ ა—და ყოველივე ეს რამდენ ძალღონეთ ულირს მარატს. ვით სანთელი, იწვის მისი სიცოცხლე. დამშვიდებულ ცხოვრებას მოკლებული, სიცივისა და მუდმივი განუწყვეტელი მუშაობის ატანით უდროვოთ მოხუცდა. ნახეთ მისი სახე, როგორ დაღმეჭილია და... ალბათ მთელ სხეულში ტკივილებსა გრძნობს. ნახეთ მისი თვალები როგორ ცეცხლივით ანთებული და გაწითლებულია როდესაც მე თვით ვუცქერ მის თვალებს ასე მგონია მე თვით არ მიძინია სამი დღით და თვალები ჩხვლეტას მიწყებს. ხოლმე. აი მაგალითათ დღეს მან მთელი ღამე გაათენა და ამ მაგიდაზე წერა, წერა, წერა... გათენებამდის.

პ ი ე რ—მერე იცი მოქალაქე სორიელ რა სიტყვები დასწერა მისმა კალამმა? დაუვიწყარი, ოქროს სიტყვები! ეხლა ამ ფურცელს მთელი პარიჟი კითხულობს. აი ესეც (გახსნის შეკონილს) მე თქვენ წაგიკითხავთ. თქვენ ხომ იცით, რომ ხელმწიფეს უნდოდა სენ-კლუიდან კომპიენში გაქცევა?

მ ა რ ტ ა—როგორ?!

ტ ი უ ვ ა შ—ასეც უნდა გვეფიქრა.

მ ა რ ტ ა—მხოლოთ, როგორ... მას ხომ მცველები უყენია?

პ ი ე რ—იცავენ... მხოლოთ შეწუხებისაგან. თქვით უკეთ, წყესავდენთქო, როცა ეს სასარგებლოა იმათთვის ვისთვისაც სასარგებლოა.—მე ვამბობ გენერლებზე, არისტოკრატებზე და ყველა მდიდრებზე.. ეხლა კი მათთვის სასარგებლოა, რომ ის გაიქცეს და უკანვე დაბრუნდეს უცხოელთა ჯარებით, რომ დაამშვიდოს „ეს სანკიულოტები“,—„უშარ-

მდივანი—ოთხშაბათს 11 აგვისტოს გაემგზავრენ ვარშავიდან რუსეთის დელეგაციის შესახვედრათ.

**დელეგატების შეხვედრა**

**ლიონი**, 14 აგვ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ კამენევმა ინგლისის მთავრობას გადასცა ჩიჩერინის ტელეგრამა, სადაც იტყობინება, რომ პოლონეთის დელეგატები გადმოვლენ ფრონტის ხაზს 14 აგვისტოს.

**დემონსტრაციები რურში.**

**ნაუენი**, 11 აგვის. 9 აგვისტოს რურის ქვა ნახშირის რაიონში მოხდა დემონსტრაციები წითელი არმიის გამარჯვების გამო. დემონსტრაცია მოითხოვდა გერმანიისაგან სრული ნეიტრალიტეტის დაცვას რუსეთ-პოლონეთის ომში. ასეთივე დემონსტრაციები მოხდა ბერლინის სხვა და სხვა კუთხეებში. მუშები წითელი დროშებით და პლაკატებით გამოვიდენ. პლაკატებზე ეწერათ: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, ძირს პოლონელი თეთრ-გვარდიელები".

**ომის წინაამდეგ.**

**ნიკოლაევი**, 5 აგვ. გაზ. „პრიზივი" იუწყება, რომ ბუქარესტის სოციალისტებმა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში მოაწყვეს მიტინგები, სადაც საპროტესტო რეზოლიუციები გამოქონდათ მთავრობის ზოგიერთ წევრების წინაამდეგ, რომელთაც სურთ რუმინია ჩაითრიონ ომში.

**პროლეტარიატის ,,დიდი სახელმწიფო''.**

**რეველი**, 2 აგ. ინგლისის გაზეთი „ობსერვატორი" ამბობს, რომ რუსეთთან ეხლა წინანდელი ენით ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან ის ისევ „დიდი სახელმწიფო" გახდაო.

# უკანასკნელი ცნობები

**14 აგვისტოს სამხედრო-ოპერატიული ცნობა.**

მოსკოვი, 15 აგვისტო. პლოცკის რაიონში ჩვენ დავიკავეთ ქ. სერპეცი.

ნოვოგეორგიევის მიმართულებით ჩვენ გავიარეთ ნესელსკ-სიროცის ხაზზე 15—20 ვერსზე ნოვოგეორგიოვსკიდან.

ვარშავის მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ ქ. ნოვ.-მინსკი. ლუბლინის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს პოლონელების წინაამდეგობა და აწარმოებენ ბრძოლას ქ. ლიუბარტოვთან.

ხოლმის მიმართულებით ჩვენი ჯარები 11 აგვისტოს აწარმოებდენ ბრძოლას ქ. ხოლმის აღმოსავლეთით.

# ახალი ამბები

ერევანიდან სამწუხარო ცნობა მივიღეთ: ქ. ერევანში 13 თუ 14 აგვისტოს საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტეს ამხ. სტეფანე ალავერდოვი. ამხ. სტეფანე ალავერდოვი იყო კომუნისტური პარტიის კომიტეტის წევრი. 1917—18 წლებში ის იყო სარიყამიშის სამხედრო-რევოლიუციონურ კოკომიტეტის წევრი.

— **კომუნისტების გადასახლება.** ქ. ბაქოში გადაასახლეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოთავსებული 6 ამხანაგი კომუნისტი: 1) ათაევი, 2) არუცოვი, 3) შოტი, 4) ...უაშვილი და 5) და ძმები მურადოვები.

— **ფოილოს ხიდი.** ფოილოს ხიდის აღსადგენათ წარმოებულ მუშაობის გამგემ ა. გეგიძემ წარუდგინა გზათა უწყების სამსახურის უფროსს მოხსენება ფოილის ხიდის აღსადგენ მუშაობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია: აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა არა ერთხელ განაცხადეს, რომ, თითქოს, საქართველო ხიდის ასაგებ მუშაობას განგებ აჭიანურებსო. საქმის მდგომარეობა კი ასეთია: საქართველოს რკინის გზების სამმართველომ, როდესაც მიიღო თავისთავზე ხიდის შესაკეთებელ მუშაობის ვალდებულება, ფიქრობდა ეს მუშაობა ეწარმოებინა ქარბნახშენისა და ჟანგმანის შედუღების საშუალებით. ჟანგმანის მიწოდება დაივალა აზერბაიჯანმა. მოგვაწოდეს ცოტა ჟანგმანი და როდესაც მოხელე მალოვი გავგზავნეთ ბაქოში საჭირო ჟანგმანის ჩამოსატანათ, ის იქ დააკავეს. მალოვის დაკავების მიზეზის გაგება ვერ მოხერხდა, რადგანაც ადერბაიჯანის საყარაულო ფოილოს ხიდის იქით გასაგზავნ არც დეპეშას და არც შეკითხვას არ ღებულობს. ჟანგმანის უქონლობის გამო კი მუშაობა დაუბრკოლებლივ ვერ იწარმოებს. ადერბაიჯანის წარმომადგენლებმა ისიც დაივალეს, რომ დაკარგული რკინები მოეტანათ, მაგრამ არც ეს შეასრულეს. აზერბეიჯანის სანაპიროზე მდგომი პირები სხვა მხრივადაც გვიშლიან ხელსო, მაგ. საშვალებას არ გვაძლევენ, რომ ფოილოდან ტელეგრაფით ვინმეს საქმის შესახებ დაველაპარაკოთო და სხვ.

— **„სოფლის მუშა".** გამოვიდა ს.-დ. ახალი გაზეთი „სოფლის მუშა". შინაარსი: 1) რედაქციისაგან, 2) მეთაური—რუსეთი და ევროპა, 3) ჩვენი მიაზნი—სტ. ელიაძისა, 4) სოფლის მუშას—ი. ირემაშვილისა, 5) საუბარი სოფლის მუშასთან—ი. გომართლისა და სხვ.

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.", როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

# დეპეშები

**საფრანგეთი და საბჭოთა რუსეთი.**

საბჭოთა რუსეთი პოლონელებს დამარცხების შემდეგ ახალ შემოტევას უნდა ელოდეს, მოკავშირეები არა სცხრებიან. წითელი საბჭოთა რუსეთი აფრთხობს ევროპის ბურჟუაზიას. საფრანგეთი მზათ არის თითქმის, უკვე აღარ არსებულ თეთრ გვარდიელთა პოლონეთს ვითომდა დასახმარებლად თავისი ჯარები გაუგზავნოს. ამგვარათ მას სურს ებრძოლოს საბჭოთა მთავრობას. ამ ავანტიურის განსახორციელებლად იგი მზათ არის ჩამოსცილდეს თავის მოკავშირე ინგლისს. საბჭოთა მთავრობა ელის ახალ და უფრო სერიოზულ შემოტევას, ვიდრე პოლონეთის შემოტევა იყო. ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ მთელი ძალღონე და მოკავშირეთა ახალ ცდას გავსცეთ ამგვარივე პასუხი, როგორც პოლონეთს.

**საზავო მოლაპარაკება ფინეთთან.**

ფინეთთან შეიკრა დროებითი ზავი 31 დღით და გაგრძელდება იმდენ ხანს, სანამ ერთ ერთი სახელმწიფო არ განაცხადებს, რომ დროებითი ზავი აღარ არსებობს. საბჭოთა რუსეთისა და ფინეთის ჯარების შორის არსებული სადემარკაციო ხაზი არ შეიძლება ფინეთ-რუსეთის სახელმწიფო საზღვრათ ჩაითვალოს.

**ზავი ლატვიასთან.**

იოფემ ლატვიასთან ზავის შესახებ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთმა ამ ზავით არა მარტო სარკმელი, არამედ ფართო კარები გახსნა, რადგანაც ჩვენ საშვალება გვაქვს ლატვიის მშვენიერი ნავთსადგურებით ვისარგებლოთ და საქონელი თავისუფლად გავიტან-შემოვიტანოთო.

**ბელაკუნის მოსკოვში ჩასვლა.**

მოსკოვში მოვიდა ბელაკუნი, რომელიც ჰუნგრეთის საბჭოთა მთავრობის სათავეში იდგა.

## გერმანული პრესა

**საბჭოთა ჯარები გერმანიის საზღვართან.**

დანციგში გერმანელები პოლონელებს მტრულად უცქერის. ცნობების თანახმათ, ამერიკის კონსულმა ვარშავა დასტოვა და პარიზს გაემგზავრა. აგვისტოს 10. მრავალი ამერიკელი, რომელიც მსახურებდა პოლონებთან, ისევ უბრუნდება სამსახურს პოლონელების დასახმარებლად. პირველ შეხედვით სქმე კარგად არ არის, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ თქმულა. გერმანიის ტერიტორიიდან რამდენიმე კილომეტრზე სდგას რუსეთის მე-35 ბრიგადის შტაბი. შტაბის უფროსი ლინკუნი 32 წლის ყოფილი არმიის პორუჩიკია ყველა ოფიცრები ახალგაზრდები არიან, ყველა ოფიცერმა განაცხადა რომ ისინი თავის ნებით გაეწერენ ჯარში პოლონელების წინაამდეგ. თითეული ბრიგადა 3 პოლკისაგან შესდგება. თითეული პოლკი. (დამახინჯებულია) ყაზახებისაგან, თვეში როტის უფროსები 4000 მ. იღებენ, ვინც რა უნდა იყიდოს ფული აუცილებლად უნდა გადაიხადოს. ქურდობისათვის მკაცრად სჯიან. ქაღალდის ფულზე როგორც ლაპარაკობენ, აწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", 10 ენაზე სხვათაშორის, არაბულზე ინგლისურზე და ჩინურზედაც.

# «რეციდივისტს».

კვლავ ვიმეორებთ ბ. დევდარიანის სიტყვებს: „პედი არ სწყალობს „კომუნისტს". არ სწყალობს, რადგან მას უხდება ისეთ მოწინაალმდეგებთან კამათი, რომლებისათვის უფრო ნოტარიუსები და „სუდიელებია" საჭირო და არა ჟურნალისტი. ბ. დევდარიანის მორიგი სიყალბენი მესამე ინტერნაციონალის შესახებ იყო ... ფაქტების მოყვანით გამოვამჟღავნეთ, ეს

---

ვლოები". რომლებსაც ამიერიდან არ უნდათ მას უსმინონ და ემორჩილონ.

ტ ი უ ვ ა შ—მართალია, მართალი!

პ ი ე რ—ხა-ხა, ხა! აი როგორ გვიცქერენ ჩვენ! მაგრამ მარატმა ეს ყველაფერი გამოაშკარავა... აი ამ ფურცელში ყველაფერი არის ნათქვამი.

მ ა რ ტ ა—წაიკითხე, წაიკითხე ჩქარა!

პ ი ე რ—აი ისმინეთ (კითხულობს გრძნობით, როგორც მოწოდებას თითოეული სიტყვის კარგათ გაგებული) ის მოგვმართავს ჩვენ „შეურაცხყოფილ ღარიბებს",

თქვენ დაიღუპებით, თუ ეხლავე ხელში არ აიღებთ იარაღს და არ გამოიჩენთ იმ მამაცობას და გმირობას, რომლითაც ორჯერ გადაარჩინეთ საფრანგეთი: 14 ივლისს და 5 ოქტომბერს".

მ ა რ ტ ა—14 ივლისი. ეს, როცა ბასტილიას ვიღებდით...

პ ი ე რ—(კითხულობს) „სინამ არ დაგვიანებულა, იჩქარეთ სენ-კლუში, დააყენეთ ყარაული თავს ხელმწიფეს, მის მემკვიდრეს და ავსტრიელ ქალს, რომ საჭიროების დროს ისინი თქვენ ხელთ გეყოლოთ.

მ ა რ ტ ა—ავსტრიელი ქალი... ხა, ხა, ის ვერე მარია ანტუანეტას უწოდებს.

პ ი ე რ—(განაგრძობს)... წაართვით მათ საშვალება, განაგრძონ შეთქმულება, დაჭირეთ მინისტრები და მათი მდივნები, ჩაჰყენეთ ისინი ბორკილებში, დაიჭირეთ პარიჟის მერი, იყოლიეთ თავის მხედველობის ქვეშ გენერლები და შეიპყარით სამხედრო მინისტრი, უზრუნველ ყავით თავი არსენალით, იარაღებით და, ბოლოს მოიწვიეთ ოლქებში თათბირები და გამოიმუშავეთ მოქმედების გეგმა",

მ ა რ ტ ა—ეს ნათელია: დიდი ხანია ვლაპარაკობ, რომ ცერემონია მათთან საჭირო არ არის მეთქი. როცა შენ ხელშია დამბაჩა, უნდა ილოდე, რა უნდა ქნა. (კითხვის დროს შემოდის მარატი, რომელსაც ვერავინ შეამჩნევს, შეჩერდება კიბეზე და ღიმილით ისმენს. მას თავი მხნეთ უჭირავს, მაგრამ გამოიყურება, როგორც ავადმყოფი, თვალები განათლებია. ხანგამოშვებით განიცდის ისეთ წუთებსაც, როცა გეგონება, რომ ეს არის ძალა ეთხოვა მას და მაშინ მოძრაობა ძლიერ უძნელდება. მაგრამ ნების ძალდატანებით ასეთ შეუძლებლობას ამარცხებს და მაშინ კვლავ ლაპარაკობს და მოძრაობს ისე, რომ თვითეულ მოძრაობაში გამოსჭვივის შეუდრეკელი ძალა, კოლოსალური სულიერი სიმტკიცე, ჩაცმული არის ძლიერ ღარიბულად. აცვია ძველი კამზოლი, ფეხზე დახეული ტუფლები).

პ ი ე რ—ისმინეთ შემდეგ! აქ არის უმთავრესი!

თქვენ მალე ნახავთ, რომ უპირატესობის მქონე წოდება კვლავ ასწევს მაღლა თავს და შეიძლება კვლავ დაიწყოს დესპოტიზმის მძვინვარება უფრო სასტიკათ, ვიდრე ამდენ ხანს იყო, მაგრამ ხუთი,—ექვსი ასიოდე თავი არისტოკრატიისა უზრუნველ ყოფს თქვენს თავისუფლებას მშვიდობიანობას და ბედნიერებას."

მ ა რ ტ ა—აი, აი, რომ მართლაც ოქროს სიტყვებია.

პ ი ე რ—(განაგრძობს) „ნდობამ და უყურადღებობამ დაასუსტა თქვენი ხელი, რომელსაც შეეძლო თავზარი დაეცა მტრისთვის. ამაზე თქვენ პასუხს აგებთ მეორე თქვენი ძმების სიცოცხლით. საკმაო ერთ მომენტში თქვენმა მტრებმა გაიმარჯვოს, რომ თქვენს თავისუფლებას მოეღოს ბოლო, ტბებათ დადგება თქვენი სისხლი და თქვენ მოგცემენ საშინელ ტანჯვა-წვალებას."

პიერი(დაპირ): განა მარტი მართალი არ არის?!!

ტ ი უ ვ ა შ—სრულიად სიმართლეა ჩემო უკვე წამოუყვეს თავი, ეს მე თვითონ გამოვცადე.

მ ა რ ტ ა. ამ თავს კი ასე უნდა (აჩვენებს „გადაჭრას.")

ტ ი უ ვ ა შ—მე მთელი ცხოვრება უბრალო მშვიდობიან მომუშავეთ გამოვატარებ, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს ბოლო.

მ ა რ ტ ა—წყეულ იყოს მოთმენა! მე ვიმღერე, როცა გილიოტინა ამუშავდება.

პ ი ე რ—დიახ, ჩვენ მას უნდა მივსცეთ სამუშაო, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მისცემენ ჩვენი მტრები.

მ ა რ ტ ა—მოღალატეები გილიოტინზე! ჩავახრჩოთ სისხლში!

ტ ი უ ვ ა შ—გილიოტინზე?

პ ი ე რ—გაუმარჯოს გილიოტინას!!

(სამთავე აღელვებულნი არიან რომელიც გამოსჭვივის მათ თვალებში და ენერგიულ მოძრაობაში. ასე გეგონება, თავის აღმაფრენით ისინი მზათ არიან გავარდენ ქუჩაში და გილიოტინას მიუგდონ ისინი, რომლებთა წინააღმდეგ არის მიმართული მათი რისხვა. (ამ დროს გამოდის მარატი.)

მ ა რ ა ტ ი—(დაბალი ხმით) დამშვიდით მოქალაქენო? (ღიმილით) თქვენ მართალი ხართ... მაგრამ... თქვენ მხოლოთ თითქმის მართალი ხართ...

ყ ვ ე ლ ა ნ ი—მოქალაქე მარატ! (მამაკაცები იხდიან ქუდებს.)

მ ა რ ა ტ ი. გამარჯობა, ჩემო მეგობრებო! ყველაფერი ეს ასე! (ის დამშვიდებით იწყებს ლაპარაკს, მაგრამ შემდეგ, იმისდამიხედვით, თუ როგორ იზრდება მისი დრტვინვა, მისი ხმაც იზრდება და ქუხს ვით ქუხილი). მართლა, არისტოკრატები და მდიდრები, სამღვდელოება და სპეკულიანტები, მოხელენი და ბანკირები, ყველა ეს მუქთახორები და წურბლები, ეს აფთართა ხროვა მზათ იყვენ გაენთავისუფლებიათ ბოროტი და ცბიერი ლიუდოვიკი და მისი ავსტრიელი ქალბატონი. ჰე, ისინი სულ ჩქარა დაბრუნდებოდენ უკან და მოიყვანდენ თან უცხოელებს. და ყველა ეს მუქთახორები და ხალხის სისხლის სმელები გაუმართავდენ მათ საზეიმო მდიდრულ შეხვედრას. თითქო მათ შექმნეს ხომ ეს რევოლიუცია! რევოლიუციამდი მეფე ხალხს ფცქვნიდა თავის სასარგებლოთ, ხოლო რევოლიუციის შემდეგ კი ის აიძულეს მათთვისაც გაეყო ეს ნაღვეტ-ნაძარცვი კმარა ტკბილი სიტყვები რევოლიუციონურ ხალხის ერთობაზე! ამიტომ მე ვამბობ: იარაღით ხელში ბრძოლა მეფისა და მდიდრების წინააღმდეგ!

(მარტას პიერს და ტიუვაშს მარატის ელექტრონული სიტყვის გავლენის გამო, უნდათ რაღაც დაიყვირონ, სადღაც გავარდენ, მაგრამ მარატი აჩერებს მათ და ცოტა პაუზის შემდეგ, კვლავ იწყებს ნელი ხმით ლაპარაკს).

მ ა რ ა ტ ი. მაგრამ, ძვირფასო ძმებო, ჩვენს ბრძოლაში არ უნდა ქონდეს ადგილი ზედმეტ სისხლის წყურვილს... სისხლი... სისხლი... ჩვენ თუ უნდა დავანთხიოთ ის... ჩვენ დავანთხევთ... ჩვენ გვყოფნის სიმტკიცე მოვიჭრათ სხეულის ნაწილი, რომ გადავარჩინოთ მთელი სხეული.. მაგრამ ეს—აუცილებლობაა.. ეს—სამწუხარო აუცილებლობაა.

მ ა რ ტ ა. მაგრამ მათ დაიმსახურეს შურისძიება!

მ ა რ ა ტ ი. (ის ჯდება და მის სახეზე დაღლილობა არის აღბეჭდილი) შურისძიება.. დიახ შურისძიება, მაგრამ ხალხი ხომ უბრალო შურისძიების მაღლა დგას. ჩვენ გვინდა მხოლოთ უზრუნველვყოთ უკეთესი მომავალი... ჩვენი ბრალი არ არის, თუ მისკენ მიმავალი გზა გაივლის შავ გილიოტინასთან. მაგრამ სამაგიეროთ, როგორი სასიხარულო, ბრწყინვალე და თავისუფალი იქნება შემდეგ ჩვენი ცხოვრება!

(თვალებზე ხელს იფარებს და რამოდენიმე წამს ზის უმოძრაოთ და ჩუმათ, თითქოს რაღაც სილამაზე და მშვენიერება გან-ჰვრიტა. მისი სახე ბრწყინავს. რამდენიმე წუთი სიჩუმე. შემდეგ, გაახელს თვალებს და, თითქოს გამოფხიზლდაო, სულ სხვა კილოთი მიმართავს პიერს).

მ ა რ ა ტ ი—რა გნებავთ მოქალაქე გრანუერი?

პ ი ე რ—მე მინდა გკითხოთ თქვენ.. (ისინი ნელათ ლაპარაკობენ, მასთან ის უჩვენებს მარატს რაღაც ქაღალდებს, რომელზედაც ალბათ ლაპარაკობენ.)

ტ ი უ ვ ა შ (მარტას). ეხლა რაღაც უჯერხულია ჩემთვის მივმართო მას.

მ ა რ ტ ა—რისთვის?

ტ ი უ ვ ა შ—მის წინაშე მთელი საფრანგეთია. რა უნდა ესაქმებოდეს მას ვიღაც ღარიბ ტიუვაშის.

მ ა რ ტ ა—მილიონი ღარიბი ტიუვაშები წარმოადგენენ საფრანგეთს.

მ ა რ ა ტ ი (პიერს) კარგი, კარგი. აი ეს ააწყონ ორ სვეტათ. საღამოს კი მე თვითონ შემოვალ.

პ ი ე რ—მესმის. ნახვამდის.

მ ა რ ა ტ ი. გზა მშვიდობისა ძვირფასო მოქალაქე გრანუერი (ხელს ართმევს. ტიუვაშს) თქვენ, მოქალაქე?

ტ ი უ ვ ა შ—მე მოვედი თქვენთან.. იმიტომ რომ სხვა არავინა მყავს.

მ ა რ ა ტ ი—თქვი, რა გნებავთ? რაც კი შემეძლება დაგეხმარებით.

ტ ი უ ვ ა შ—საქმე იმაშია, რომ მე ვმუშაობდი დიდ ბოსტნებში გიუი ლუაზიესთან. (დაბალი ხმით მოუთხრობს მას თავის ისტორიას).

პ ი ე რ—ნახვამდის მოქალაქე სორიელ!

მ ა რ ტ ა—ნახვამდის! მართლა, რომ ბევრი საინტერესო გავიგეთ?

პ ი ე რ—ჰო, მე ვეტყვი ამხანაგებს სტამბაში. თქვენ იქნებით დღეს სექციის კრებაზე?

მ ა რ ტ ა—მე მინდოდა.. მხოლოდ ეს გვარდია.

პ ი ე რ—ჰე, ნუ გენაღვლება. დღეს ჩვენ თან გვექნება დამბაჩები.

მ ა რ ტ ა—მაშინ სულ სხვა საქმეა.- (პიერთან ლაპარაკით გადის, მაგრამ ჩქარა დაბრუნდება, ბუხარში რაღაცას აკეთებს, შემდეგ მაგიდაზე აწყობს თეფშებს, რამდენჯერმე შედის ბნელ ოთახში).

მ ა რ ა ტ ი—(იწერს რაღაცას უბის წიგნში) კარგი... მებოსტნე გიუი ლუაზიე... ქუჩა...

ტ ი უ ვ ა შ—დიდათ... დიდათ გმადლობთ. ეხლა მე ცხოვრება გამიმსუბუქდება იმედი მაქვს, დიდი იმედი. მშვიდობით, მეტს აღარ შეგაწუხებთ.

მ ა რ ა ტ ი—გისურვებ ყოველივე კარგს. თქვენთვის ძნელია სიღარიბე... ნება მომეცით გიშველო. (ხელს მოკიდებს).

...ეხლავე უნდა წავიდე, როგორც ეტყობა ისევ უნდა ვეძიო თავშესაფარი, სამალავი, როგორც ტყის ნადირმა.

(გადის ბნელ ოთახში)

დასასრული შემდეგ №-ში.

ციფრები პირდაპირ სახეში აფურთხებენ მას, მაგრამ ის მოხუცსაც არ სთვლის საჭიროთ, ვითომც აქ არაფერიო: плюнь в глаза, все божья роса—აი მისი ფილოსოფია და ეთიკა. ის ირწმუნებოდა —„ერთობის" საშველად—რომ მესამე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე აზიის წარმომადგენელნი სჭარბობდენ, მათ დაასვეს კონგრესს აზიის ბეჭედიო. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ: 1) არც ერთი წარმომადგენელნი აზიის—სამწუხაროა ეს თუ საბედნიეროთ—კონგრესზე არ ყოფილა აღჭურვილი გადამწყვეტი ხმით; 2) კიდეც რომ აზიათ ჩავთვალოთ ასეთი ქვეყნები, როგორც პოლონეთი, ლატვია, ფინლიანდია, რუსეთი და სხ..., მაინც „ევროპას" ქონდა კონგრესზე საგრძნობი უმეტესობა ხმების (28:20). მგონი ამ ციფრებით ერთთავად ინგრევა „ერთობის" და მისი ძიას სიყალბის ხუხულა! მაგრამ ბ. დევდარიანი ხელმარდობს, საკითხის მთავარ მხარეს თვალს არიდებს და ახლა კითხულობს: „რომელი პრინციპით ხელმძღვანელობდა„ კონგრესი ხმების დანაწილების დროს? რამდენი წევრის მიხედვით ეძლეოდა ამა თუ იმ დელეგატს თითო ხმა?" ასე დახურდავდა ჩვენი „თეორეტიკოსის" ხელში მთავარი საკითხი—აზიის ბეჭედით იყო აღბეჭდილი კონგრესი, თუ საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონური სული ტრიალებდა იქ? ბ. დევ-ანი პასპორტებს აღარ ითხოვს ახლა, მანდატების ჩვენებით კმაყოფილდება. საბრალო, დაჩიავებული „ინტერნაციონალისტი", სამშობლო კერასთან მობრუნებული! თუ სამანდატო კომისიის ცნობები გაინტერესებდათ ისე, რომ თითქმის წელიწადნახევრის შემდეგაც ცნობისმოყვარეობა ღრღნის თქვენს ტვინს, რატომ რუსეთში ყოფნის დროს, მის მაგიერ რომ ლენინის ობიექტიურ რევოლიუციონური როლის შესახებ მეცნიერული სტატიები გეწერათ, არ ესტუმრეთ კომ. ინტერნაც. აღმასრულებელ კომიტეტს და არ გაეცანით მასალებს? თუ, მაშინ უკვე ჩამოყალიბებული „კონტრ-რევოლიუციონერი" იყავით, როგორც უკრაინის მენშევიკების ბოლშევიზმისაკენ უსაზღვრო [illegible] ხანაში?

ბ. დევ-იანის გამსჭვრეტ დიაგნოზით მისი მოკამათე „ახ. კომუნისტიდან" თითონაც აზიის „მსოფლმხედველობაშია" ჩაფლული, ვინაიდან ჩვენ დაგვეწეროს ვითომ, რომ რუსეთის პროლეტარი შეუდარებელ სიმაღლეზე დგას, ვინ;მ ინგლისის და ამერიკის პროლეტარი. არა ღირსეულო მოკამათევ, ეს ჩვენ არ დაგვიწერია, იმ წერილში ჩვენ მხოლოდ გირჩიეთ გადაგეკითხათ კაუცკის წერილები სწორედ ასეთი შეხედულების გამტარებელი და შედეგი „ერთობის" მკითხველისათვის გაგეზიარებიათ (რაღა თქმა* უნდა, ჩვენ უარს არ ვამბობთ 1900—1910 წლების კაუცკისთან ერთად აზიის მსოფლიომხედველობის ბარგლებში მოქცევაზე), მაგრამ თქვენ, რეციდივისტის ადათისამებრ საკითხი უკუღმა შეატრიალეთ. თქვენი ნებაა არ ისმინოთ ჩვენი რჩევა და თქვენ მიერ გამოყეყეჩებულ „ერთობის" მკითხველს არ მიაწოდოთ კაუცკის და სხვა მარქსისტების შეხედულება რუსეთის და ინგლის-ამერიკის პროლეტარების შედარებით ღირსებებზე რევოლუციონური თვალსაზრისით, მაგრამ გაბრთხილებთ რომ თქვენს მაგიერ ჩვენ შევასრულებთ ამას და გავაცნობთ ჩვენს და თქვენს მკითხველებსაც მარქს-ენგელს-კაუცკის შეხედულებებს.

მაგრამ ბ. დევ—ანი არ კმაყოფილდება ჩვენი აზიელობით. ის სწვდება რუსეთის კომუნისტურ პარტიასაც და აი როგორი თეზისებით მიმართავს მკითხველებს: „ლენინის პარტია რუსეთში არ უარყოფდა, რომ მესამე ინტერნაციონალი აზიის სხივებით არის შემოსილი და ამართულია დასავლეთ ევროპის გასანათლებლათ. „ახ. კომუნისტს" ექნება ლენინის და ზინოვიევის წიგნი „Против теченія", და იქ ამოიკითხავთ ყველა ამასო.

მოვახსენებთ რეციდივისტს: ეს მსხვილი, თითქმის 600 გვერდიანი დიდი ფორმატის ტომი მოგვეპოვება და წაკითხულიც მაქვს მრავალჯერ, მაგრამ ბ. დევ—ანის სიყალბის ოდნავათ მაინც მაშველი აზრი იქ არ გვიპოვია.

ყველა სტატიებში, თეზისებში თუ სხვა რამ დოკუმენტებში გატარებულია დედა-აზრი: სოციალიზმის იმედი და მისი პატივის დამცველია კ. ლიბკნეხტი, როზა ლიუქსენბურგი, ფრ. მერინგი და სხვ. გერმანიაში; ხენგლუნდი შვეციაში, ფრ. ადლერი (მაშინ ის არ გავდა ახლანდელ ადლერს) ავსტრიაში, მაკლინი ინგლისში, და სხ. და სხ.

ან შეიძლება რუსეთის რევოლიუციის შემდეგ მიაკუთნეს ბალშევიკებმა გეგემონობა აზიას? ესეც სიცრუეა.

ბალშევიზმის შეხედულებით, რუსეთს მხოლოდ გაუადვილდა სოციალისტ. რევოლიუციის დაწყება, მას [illegible] ძელებს გერმანია-საფრანგეთი და საუკეთესოთ დააგვირგვინებს ინგლისიო; და როცა საბჭოთა სისტემა განხორციელდება ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში, რუსეთი მათთან შედარებით ჩამორჩენილ სოციალისტური რესპუბლიკა იქნებაო...

გვერდს ნუ აუვლით ბ. დევ—ნო მთავარ საკითხს, სინჯეთ და დაამტკიცეთ თქვენი ნათქვამი, თორემ ყურით მიჭედილი დარჩებით ახლაც სამარცხვინო ბოძზე, თუმც საკმაოდ შეჩვეული ხართ ასეთ პოზიციას.

ნ. გ.

# მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

## ქუთაისის პროფესიონალური კავშირების მდგომარეობა და მათი უფლებები.

(დასასრული. იხ. № 16.)

აი ამ მოყვანილ ფაქტის შემდეგ, როგორ შეუძლია აქაურ მუშებს მენშევიკების რაიმე იწამონ, და მათში მუშების ინტერესების დამცველები დაანახონ. ყველას კარგათ მოეხსენებათ, თუ როგორი ეკონომიურ გასაჭირს განიცდის ხალხი ასეთ საზლაპრო სიძვირეში. რაც დღე გადის მით უფრო ძვირდება ყოველი საჭირო საგანი. და ასეთ სიძვირეში იჩაგრებიან მუშები და არა სპეკულიანტები და ვაჭრები, რომლების დამცველებათ გამოდიან მენშევიკები. მუშები შიმშილით იხოცებიან, მათ ლუკმა პური ეინტერესებათ და ტანსაცმელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მთელი მუშები ჩამოტყეებულნი არიან. ტანსაცმლის ვი არა ჭადის ფულს იშოვნიდენ, ფვარა სხვას თავს დაანებებენ. აბა თქვას ერთმა სვინდისიანმა მოქალაქემ, თუ როგორ შეიძლება იცხოვროს კაცმა ახლა 2000—3000 მან., როდესაც ჭადის ფქვილი 2400 მან. ღირს ფუთი, გამომცხვარი გირვანქა კი 40 მან. მერე ისიც არ დაივიწყოთ, რომ მუშებს მარტო თავის თივი არ აქვთ სარჩენი. როგორც კი მაგალითად დაიწყებენ რომელიმე კავშირის მუშები ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებაზე ლაპარაკს, მაშინვე მენშევიკები აამოქმედებენ თავიანთ აპარატს და ცდილობენ, ამოფხვრან როგორმე მუშების თავიდან ასეთი ეშმაკური ფიქრები. თუ მათმა ხერხმა ვერ გაჭრა, მაშინ კი მიიღებენ სხვანაირ ზომებს, მათ წინააღმდეგ. მაგრამ მუშები ემორჩილებიან არა მენშევიკების სიტყვებს, არამედ მათ ძალმომრეობას. ყოველი მუშა სვამს ასე საკითხს: ციხე, თუ ისევ ისეთი პირობები, რომელშიაც ის იმყოფება, ის არჩევს ყოველთვის, ისევ ძველ პირობებში დარჩეს, ვინემ ციხეში ამოყოს თავი. ასეთ გაძვალტყავებულ პირობებში უხთებათ მუშებს მუშაობა. თუ მიილო მოწყალება და კეთილი თვალით გადმოხედა მუშებს, მენშევიკების „უმაღლესა ორგანომ". „სატარიფო პალატამ", ხომ კარგი, თუარა და ასეთ გაჭირვებულ პირობებში, სული ძვრებათ. ერთხელ დავესწარი წვრილ მოხელე-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის კრებას, რომლებიც ყველაზე უფრო დაქვეითებულნი არიან ეკონომიურად. ისინი თხოვდენ მენშევიკებს, რომ გადმოეხედათ მოწყალების თვალით და ნუ ამოწყვეტდენ შიმშილით ცოლშვილიანათ. მენშევიკებს დიდი ფიქრი არ დასჭირვებიათ მათ საპასუხოთ და ოფლი არ გადასკდომიათ შუბლზე. მხოლოთ ორი სიტყვით მიუგეს: „მოითმინეთ ბატონებოვო". მუშებმა მიუგეს: კარგი, ჩვენ მოვითმენთ, მარა ამ ჩარჩი-სპეკულიანტ-ვაჭრებს რატომ არ ელაპარაკებით მოთმენაზე. დღეის შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია მოთმენა, მეტის მეტ გაჭირვებულ პირობებში ვიმყოფებითო. მენშევიკებმა მაინც თავისი სიტყვები განიმეორეს, და ხალხს მოთმინებისაკენ მოუწოდენ; უთხრეს „დემოკრატია სულგრძელი არის" და მან უნდა მოითმინოს ყველაფერი გასაჭირი რესპუბლიკის საკეთილდღეოთო. კარგი და პატიოსანი, დემოკრატია სულგრძელია და ითმენს, მარა ეს ჩარჩი-სპეკულიანტი-ვაჭრები, რომ არ ითმენენ და ტყავს აძრობენ ხალხს? მენშევიკები სპეკულიანტ-ვაჭრების წინაალმდეგ არაფერ ზომებს არ ღებულობენ, ეს კი არა ხელსაც უწყობენ მათ. მუშებს ეუბნებიან, როდესაც თქვენ თხოულობთ მომატებას და იმატებთ ჯამაგირებს, სპეკულიანტ-ვაჭრებიც ამას ხედავენ და ხელოვნურათ აძვირებენ ყველაფერსო. ეს არ არის მართალი და მენშევიკების სიყალბეა. მუშებმა ერთ წელიწადს რომ არ მოიმატონ ჯამაგირები, სპეკულიანტ-ვაჭრები მაინც თავისას იზამენ თუ მათ წინააღმდეგ არ იქნა მიღებული ზომები, მარა მენშევიკები უფრო მუშების წინაღმდეგ წავლენ ვიდრე სპეკულიანტ ჩარს-ვაჭრისა. მაგალითად, მუშებმა მომატებით მიიღენ ჯამაგირები იანვრიდან მას შემდეგ, მუშებისათვის ჯამაგირები არ მიუმატებიათ. ხოლო სურსათსა და სხვა მოსახმარ საგნებს ერთი ორათ და სამათ მოუმატეს ფასი. აი რამდენათ გაუდიდებიათ ხაზეინებს ფასი. მუშებს ისინი კი აძლევენ დღეს იმ ჯამაგირებს რასაც იანვარში ღებულობდენ. აბა გვიპასუხონ ბ. მენშევიკებმა რამ გააძვირა ცხოვრება, მუშების ჯამაგირების მომატებამ თუ სპეკულიანტ-ჩარჩების მიერ ხელოვნურათ ფასების მომატებამ? ჯერ მუშებისათვის არაფერი მოგიმატებიათ და საჭირო საგნებს თავის თავათ აძვირებენ ხაზეინები. და თქვენ თუ გსურთ ასეთი ხელოვნური სიძვირე მოსპოთ, აუცილებლათ უნდა მიიღოთ ზომები არა მუშების წინაალმდეგ, არამედ იმ სპეკულიანტ-ჩარჩ-ვაჭრებისწინა აღმდეგ, რომელნიც ხელოვნურათ აძვირებენ. ყველაფერს უნდა დაუწესოთ კანტროლი წარმოებაზე და მაშინ ფასები ისე საზლაპროთ არ მოიმატებს, როგორც ახლა. მაგრამ თქვენ ამას ვერ იზამთ, რადგან თქვენ არ ხართ პროლეტარიატის დამცველები. და არც შეგიძლიათ დაიცვათ, ვინაიდან თქვენ ხართ წვრილ-ბურჟუაზიული კლასის ინტერესების დამცველები და წარმომადგენლები და როგორ შეგიძლიათ ერთსა და იმავე დროს ორივე კლასის დაცვა. სახელს ატარებთ პროლეტარიატისას და მათი ნიღაბ ქვეშ ხართ ამოფარებული და საქმეს კი აკეთებთ ბურჟუაზიის სასიკეთილდღეოთ. ამიტომ, სანამ ქუთაისის პროფესიონალურ კავშირების სათავეში იდგომილებიან ეს უკაცრავად პასუხია „სოციალისტები" მანამ მუშების მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.

ასეთია დღეს დღეობით ქუთაისის მუშების მდგომარეობა.

ი. დ—ნი.

## საზღვარ გარეთ

### უმუშევრობა იაპონიაში

იაპონურ გაზეთების გადმოცემით უმუშევრობა იაპონიაში ძალიან იზრდება,—უმუშევართა რიცხვი უკვე ავიდა ორასი ათას კაცამდე.

### ნორვეგიის რკინისგზელთა შორის

ნორვეგიის მთავრობა უარზეა აწარმოვოს მოლაპარაკება რკინისგზელებთან ახალი ტარიფის შესახებ. ის უარზეა აგრეთვე დააბრუნოს სამუშაოზე დათხოვნილი მოსამსახურენი. რკინის გზების მთავარი გამგეობა მოითხოვს დაემორჩილონ მას უსათუოდ და სავსებით მოსამსახურეები და ვარი სთქვან ყველა მოთხოვნილებებზე. ნორვეგიის გაერთიანებულ პროფესიონალურ კავშირების სათავეში მდგომმა ლიამ განაცხადა, რომ ბრძოლაში ჩაბმული უნდა იქნეს მუშების ახალი კავშირები და ეს შესრულებულ იქნება.

### ქვანახშირის მუშების გაფიცვის წინ

ინგლისის მთავრობამ უარჰყო ქვანახშირის მუშების მოთხოვნილება სამუშაო ქირის კვირაში ორი შილინგით მომატების შესახებ. მუშათა კავშირის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიონ 12 აგვიტოს ქვანახშირის მუშების ნაციონალური კრება, სადაც დასმული იქნება საკითხი გაფიცვის შესახებ.

### სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვა ლატვიაში

გრობინის, გაზენპოტის და გოლდინგენის მაზრებში დაწყებული სასოფლო-სამეურნეო მუშების საგაფიცვო მოძრაობა გრძელდება. მუშების მოთხოვნილებაა: რვა საათის სამუშაო დღის გატარება საშვალოთ, სამუშაო ქირის გადიდება.

# კომუნისტების დევნა გრძელდება.

## ჭიათურა.

დიდიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის გამოცხადებისა დაირღვა ჭიათურის მენშევიკების მშვიდობიანი ძილი. მათ ძალიან კარგათ იცოდენ, თუ რა შეხედულების იყო და არის ჭიათურის და მისი რაიონის მშრომელი მასსა მათ პარტიაზე; მაგრამ მაინც არშეინათ გრძნობდენ თავს, მანამ, სანამ კომუნისტების პარტია ლეგალურ მუშაობას დაიწყებდა. მაგრამ, როგორაც კი ჩვენ მოვიპოვეთ ლეგალურათ არსებობის უფლება, მენშევიკების ბურჟუაზიული პოლიტიკით უკმაყოფილო მშრომელთა მასსა ერთბაშათ მოაწყდა ჩვენს პარტიას, და აი ამის შემდეგ დაეფრთხო ძილი მენშევიკებს. ისინი აშკარათ ხედავდენ, რომ მ[illegible] ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდათ, ხალხ[illegible] მათ ზურგი შეაქცია და გამოეშურა [illegible]მუნისტური პარტიის წითელი დროშისკენ.

და მენშევიკები ამუშავდენ. აფრინეს სოფლათ „პროპაგანდისტები", (რომელთა რიცხვი ერთი სამათ გაადიდეს) დაიწყეს ათასგვარი ჭორების თხზვა და ვრცელება ბალშევიკებზე, მაგრამ ვერ გასჭრა მათმა ჭორებმა, მათი ტყუილები არავის ჯეროდა, ჩვენი ორგანიზაცია კი იანდათან ფართოვდებოდა.

და ბოლოს... მიმართეს თვის „ძველ ნაცად" გზას: 28 ივლისს მოულოდნელათ თავს დაესხენ ადგილობრივ კომუნისტურ ორგანიზაციას, დააპატიმრეს ექვსი მოწინავე ამხანაგი და ამგვარი „იდეიური" ბრძოლით "დაამტკიცეს" საქართველოში კომუნისტური [პა]რტიის უნიადაგობა.

აქედან გასაგებია; თუ რატომ დააპატიმრეს ჩვენი ამხანაგები, მათ უნდოდათ ამით დაეშინებიათ და ჩამოეშორებიათ პარტიისთვის მუშათა და გლეხთა ფართო მასები, რომელთაც იზიდავს ჩვენს პარტიაში შუქ მოელვარე იდეა კომუნიზმისა. მაგრამ მენშევიკები, [illegible]ის მენშევიკებია თუ შესაფერ ბრალდებას არ წამოუყენებდენ. ხალხის შეიარაღებას, თურმე ხალხს აიარაღებდა ამხ. მუშა ს. ჭეიშვილი, რომელიც ყოველ დღე ქარხანაში მუშაობდა. ალბათ სიცილსა და ზიზღს ვერ შეიკავებენ ამის გაგონებაზე მისი ამხანაგი მუშები. იარაღს არიგებდა ამხ. გალაქტიონ ვაშაძე, ვ. ხარაიძე და სხ.! განა ამაზე მეტი საზიზღარი ტყუილი შეიძლება?! ხალხს აიარაღებდითო!... ჰკითხეთ, ბატონებო, ამ ხალხს რო იარაღს ურიგებდენ ჩვენი ამხანაგები. დაგვისახელეთ თუნდ ერთი პიროვნება, რომელმაც ჩვენგან იარაღი მიიღო, დაგვისახელეთ ერთი პატიოსანი კაცი, რომელიც მაგ. „ბრალდებას" დაადასტურებს. მაგრამ ვინ უნდა დაასახელოთ, როდესაც თქვენ ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ ამ ბრალდებაში იოტის ოდენა სიმართლეც არ ურევია. იქონიეთ გამბედაობა და თქვით პირდაპირ თქვენი გულის ნადები, თორემ ასეთი უსირცხვილოთ შეთითხნილი ჭორებით ფონს ვერ გახვალთ.

ვ.

# მისალმებანი

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის რაჭის სამაზრო კონფერენცია, გიძღვნით კომუნისტურ სალამს, ტანჯულ მშრომელ მასისთვის მებრძოლ გაზეთს «ახალ კომუნისტს» გისურვებთ მედგრათ და [illegible] ყველათ გეტარებინოთ პროლეტ[არიატ]ის სისხლით შეღებილი წითელი [დრ]ოშა. ჩვენ კი რაჭის კომუნისტური [ახ]ალგაზრდობა, თქვენთან ერთად, ერთ [დ]როშის ქვეშ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

გაუმარჯოს კომუნიზმისთვის მებრძოლ გმირებს და მესამე ინტერნაციონალს.

ს. ახალ-გაზ. კ. კავ. რაჭის სამაზრო კონფერენცია.

# ჩვენი ფოსტა

**გრიშა წანნაკდიას:** გამოგზავნეთ და ენახავთ.

**ჭიათურელ ვ—ს:** გამოგზავნეთ ხშირ ხშირათ კორესპონდენციები ადგილობრივ მუშების ცხოვრებიდან.

დრ. რედაქტორი:

**დიმიტრი ჯორბენაძე.**

# უ წ ყ ე ბ ა ნ ი:

ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,ათამდე.

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის [illegible] რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. [illegible] და პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროებით მოთავსებულია ნოვო-ბებუთოვის ქ. № 11 (Ново Бебутовская ул. № 11) მდივანი იღებს 11—1 ს.

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მესაბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
11. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
12. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. № 3.